...ტამბა და რედაქცია
...ლისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურო ქარვასლა

...-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
...მართავენ რედაქციის დილის
... საათამდე და საღამოს 6—7
... ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

...პირ მოლაპარაკება რედაქ-
...სთან შეიძლება ყოველდღე.
...ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
...აზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან., და 50 კაპ.

1899

## „მოამბე"

თვიური ჟურნალი
(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

...ოლოდ ჟურნალის ვრცელის პროგრამის სავსებით შესასრუ-
...ად მომავალ წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხვე-
... მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთი-
...რეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მა-
... შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სა-
...ქციო კომისიამ. მომავალს წლიდან ჟურნალში დაიბეჭდება ახა-
...რგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვე-
...ნობილის მწერლების..
...დეკემბრის ნომერში დაიწყება ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის
...ობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ...რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| ...საზღვარ გარედ . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

...ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან
...ტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექ-
...ამდე—3 მან.
...ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის"
...ქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქ., № 13.
...ავნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე"-ზე
... მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსა-
...ან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო
...ულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.
...შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს
...ლ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის
...ოში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგ-
...ათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოს-
...რკას ყოველ კვიტანციაზე.
...ქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „**Моамбе**".
...რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავ-
...ებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წლი-
... ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში
... მანეთი შემოიტანოს და ორ ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



**ქეფირი და კუმისი**




ერთად ერთი ქარხანა რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.

...წონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
...იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუ-
...ე ...ოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-
...ბის წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—2)
ო. კორონა.

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. გ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **თავ. გ. დ. შერვაშიძის გამგზავრება პეტერბურგში.** 11 თებერვალს, ეგერმეისტერი მათი უდიდებულესობის სასახლისა თავ. გ. დ. შერვაშიძე პეტერბურგისკენ გაემგზავრა.

*** **ნაპოლეონ ამატუნის სიკვდილი.** 11 თებერვალს, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფი ნაპალიონ ამატუნი.

*** **სამსახურიდან გამოსვლა.** ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე ტ. ს. თავ. ნ. დ. ჭავჭავაძე, სამსახურს თავს ანებებს და მის ადგილს სხვა სამოსამართლო ოლქიდან იქნება სხვა ახალი პირი დანიშნულიო.

*** **მთავრობის განძრახვა.** როგორც გაზეთები იუწყებიან, აქ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში კითხვა არის აღძრული იმის შესახებ, რომ თუ მდაბალი ხარისხის მოხელეთ წყლის საადმინისტრაციო გამგეობისათვის ხალხი თავის ნებით არ ისურვებს ამორჩევას, მაშინ მთავრობა თვითონ მათდა დაუკითხავად დაუნიშნავსო.

*** **რუსული დრამატიული დასი.** აღდგომის მეორე დღიდან ივნისის დამლევამდე ტფილისის სახაზინო თეატრში წარმოდგენებს გამართავს ხარკოვის დრამატიული დასი.

*** **მდ. ჩელთის ნაპირების გამაგრება.** მიწად-მოქმედების სამინისტრომ შეატყობინა კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო გაიცეს სახაზინო ტყეებიდან $2^3/_4$ კუბ. საჟენი მარგილი და 42 კუბ. საჟ. წნელი მდ. ჩელთის ნაპირების გასამაგრებლად თელავის მაზრაში.

*** **პროგიმნაზიის დაარსება ტფილისში.** 11 თებერვალს, ქალაქის მოურავმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქ ტფილისში დაარსებულ იქნას პროგიმნაზია. ქალაქის საბჭოს ახალი პროგიმნაზიის დასაარსებლად უკვე ექვსასი თუმანი სუბსიდია გადაუდვია.

*** **გურია. სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობა.** ვინ არ იცის სოფლის მასწავლებელთა შევიწროებული ნივთიერი მდგომარეობა, ვინ არ იცის რა უნუგეშო მდგომარეობაში ლევს საწყალი სოფლის მასწავლებელი სულს? მართლაც და იმ 20—25 მანეთმა, რომელიც მასწავლებელს თვეში ეძლევა ჯამაგირათ, რა უნდა უყოს მას? 25 მ. უნდა დააკმაყოფილოს მასწავლებელს ყოველგვარი მოთხოვნილება და განა ეს შესაძლოა?

ბევრი, დამაბრკოლებელი მიზეზები ელობება სოფლის მასწავლებელს წინ, ბევრი რამ უშლის ხელს მას წმინდა მიზნის მიხწევაში, მის პატიოსანი შრომით სასურველ ნაყოფის გამოღებაშია, მაგრამ ის მაინც უკან არ იხევს, წინ მიისწრაფის და არ ზოგავს თავის ღვაწლს

და შრომას ახალთაობის აღზრდისათვის. ერთ მასწავლებელს სკოლაში 70—90-მდე მოსწავლე ახვევია, რომლებიც სამ ჯგუფათ არიან დანაწილებულნი; თვითეულს ჯგუფს მასწავლებელმა ერთ და იმავე დროს უნდა ასწავლოს; ადვილი წარმოსადგენია რა გაჭირვებაში უნდა იყოს სოფლის მასწავლებელი ასეთ პირობებში. ეს კიდევ არაფერი! ხშირად მოსწავლეებს ვერ შეუძენიათ სხვა და სხვა სასწავლო ნივთები, რა თქმა უნდა მათი სიღარიბისა გამო. გარდა ამისა, ხშირად შეხვდებით მოსწავლეს შუაგულ ზამთარში, თოვლ-ჭყაპში, ყინვა-სიცივეში სკოლაში ფეხ-შიშველად მიმავალს! აი, მივიდა კიდეც საცოდავი ბალღი სასწავლებელში, ხელ-ფეხ გაყინული, მთელი ტანით აძაგძაგებული; ვალებიდან ცრემლები სცვივათ საცოდავს და ვინ იცის, იქნებ არც კუჭია მისი ამ დროს სრულიად კმაყოფილი!

აი, ამ გვარ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან აქვს მასწავლებელს საქმე. რა ჰქნას აქ მასწავლებელმა? განა ადვილი ასატანია მასწავლებელთათვის, როგორც თვისი, ისე თავიანთი მოსწავლეების ზემო აწერილა მდგომარეობა?

დასასრულ მსურს ორიოდე სიტყვა გავუზიარო პატივცემულ მკითხველთ შესახებ აკეთის მასწავლებლისა. აკეთის საზოგადოება შესდგება სულ შვიდი სოფლისაგან. ამ საზოგადოებაში ოთხი სასწავლებელია: ერთი—ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა სამი მასწავლებლით და სამი—სამრევლო. მეტად სასიხარულო და სასიამოვნოა ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებლის ბ. ა. გეგეჭკორის მოქმედება ამ საზოგადოებაში. ბ. გეგეჭკორის დაუღალავის შრომით და მეცადინეობით არა ერთი კეთილი საქმე გაკეთებულა ს. აკეთში. ძნელი წარმოსადგენია იმ კაცისათვის, რომელიც მასწავლებლად არა ყოფილა, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან სოფლის სკოლების მოსწავლეები სხვა და სხვა სასწავლო ნივთების უქონლობისა გამო. ქალაქი სკოლაზე 20—25 ვერსზე არის მოშორებული. აბა, საიდგან შეუძლიან მოსწავლეს რვეულისათვის 25 ვერსი გაიაროს. იტყვით, მასწავლებელმა უნდა იყიდოს სასწავლო ნივთები თვისი ფულით და მერმე მოსწავლეებზედ ჰყიდოსო. კარგი და კეთილი! მაგრამ, საიდგან რა ვიყიდოთ, როდესაც ჩვენი დღიური ქირა ჩვენს მოთხოვნილებების უმცირესს ნაწილს თუ დააკმაყოფილებს. აი, ამ გარემოებით სარგებლობენ ზოგიერთ სოფლებში სოფლის მოვაჭრენი და სამ კაპეიკად ნაყიდ რვეულს 5—6 კაპეიკათ ჰყიდიან და ზოგან მეტადაც. მოსწავლე ვალდებულია, ძალა-უნებურათ გარდიხადოს რვეულში 5—6 კაპეიკი ან მეტი. გადიხდის კიდეც თუ კი აქვს ფული, ან ყოველ დროს თვით მედუქნეებს თუ ექნებათ რვეულები, მაგრამ აქაც კიდევ ახალი უბედურება: ხშირათ მოსწავლეს 5—6 კაპეიკის შოვნა უძნელდება და მოვაჭრეებსაც რვეულს ვერ უნახავ.

ამ გვარის გარემოების ასაცილებლად ბ. ა. გეგეჭკორმა თავის ფულით, ეს რამდენიმე თვე იქნება, იყიდა სხვა და სხვა სასწავლო ნივთები და რაც შეიძლება იაფ ფასებში აწვდის მოსწავლეებს, რის გამოც მოსწავლე ურვეულოდ და სხვა სასწავლო ნივთების უქონლად არ რჩება.

იმ უმცირეს მოგებას, რომელიც რჩება სასწავლო ნივთების გაყიდვის შემდეგ, ა. გეგეჭკორი უნახავს სკოლას. ბ. გეგეჭკორს სურს მოგებიდგან შეადგინოს თანხა 40 მანეთი, რომლითაც სკოლას შეძლება ექნება ყოველთვის იქონიოს სხვა და სხვა სასწავლო ნივთები. ამას შემდეგ კი რაც მოგება დარჩება სასწავლო ნივთებისაგან, სურს მოახმაროს სხვა რაიმე საქველ-მოქმედო საქმეს. დღეს მოგებიდგან სკოლას აქვს 14 მან. 50 კაპ.

სოფლის მასწავ. კოწია ქეიშვილი

# თეატრის მატიანე

ქართული საბენეფისო წარმოდგენა. ვისაც სურს ნახოს ნამდვილი სასცენო ხელოვნება და უმაღლესად დასტკბეს მითი, მან ურჩევთ ნახოს ქ-ნი ეფ. მესხი ექტრისის ადრიენა ლეკუვრერის როლში; ამავე საშუალებაზე მივუთითებთ იმასაც, ვისაც სურს დარწმუნდეს, თუ რა ძლიერი სასცენო ნიჭის პატრონია ეს ამ ჟამად ერთად-ერთი ქართველი დრამატიული მსახიობი ქალი.

გუშინ წინ, 11 თებერვალს, დანიშნული იყო ამ პატივცემულის არტისტ ქალის ბენეფისად დრამა „აქტრისას სიყვარული“, რომელშიაც მობენეფისე სწორედ ადრიენა ლეკუვრერის როლს ასრულებდა. დიდი ხანია ქართულ წარმოდგენას არ მოუხდენია ტფილისელებზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორიც იქონია მათზე გუშინ-წინდელმა წარმოდგენამ და, რაც უფრო საყურადღებოა, მთელი ეს შთაბეჭდილება გამოიწვია თითქმის მხოლოდ ქ-ნმა ეფ. მესხმა თავისი საოცარი ხელოვნური თამაშით. ნამეტურ საუცხოვო და შეუდარებელი იყო ეს სასიქადულო მსახიობი ქალი დრამის უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც მან მთლად მოაჯადოვა მაყურებლები, რომლებიც სულ-გატრუნულნი და ხმა-ჩაკმენდილნი, თითქო ერთ კაცად ქცეულნი, გულის კანკალით ისმენდნენ თვითეულ მის გრძნობით სავსე სიტყვას და თვალებ-გაშტერებით უცქეროდნენ თვითეულ მის სახის გამომეტყველებას და მიმოხვრას. მთელ საზოგადოებას ელექტრონის ჟრუანტელი უვლიდა ტანში, ცრემლები აწვებოდა თვალებზე და ბევრი კიდეც აქვითინდა. დასრულდა თუ არა დრამა, ერთბაშად აღტაცებულმა ტაშის კვრამ იგრიალა მთელ თეატრში, შეიქმნა სცენაზე ყვავილების, გვირგვინების და ქუდების სროლა საყვარელ მობენეფისის პატივსაცემად, რომლის გამოწვევას საზოგადოების მიერ ძლივს მიეცა დასასრული.

საზოგადოდ ბენეფისის მადლიერმა საზოგადოებამ ღირსეულად სცა პატივი: მრავლად დაესწრო წარმოდგენას, პირველ დანახვაზევე ხანგრძლივი და გულ-მხურვალე ტაშის კვრით დააჯილდოვა მობენეფისე და საჩუქრებიც ბლომად მიართვა.

სხვა არტისტების თამაშზე საზოგადოდ ის უნდა ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ისინი სინიდისიერად მოჰკიდებოდნენ თავიანთ როლებს და სხვა არა იყოს რა, მაინც და მაინც შთაბეჭდილებას არ აფუჭებდნენ თავიანთი უხერხული თამაშით. ჩვეულებრივ მოხდენილად შეასრულა თავისი როლი ბ-ნმა კ. მესხმა, რომლის ერთად-ერთ ნაკლულევანებას, შეიძლება სულ მცირეს, ის შეადგენდა, რომ მან ერთჯერ-ორჯერ საკმაოდ უალაგოდ მოჰგვარა სიცილი საზოგადოებას. როლების უცოდინარობა გვარიანად ემჩნეოდა ორ მსახიობს: ბბ. სვიმონიძეს და გედევანოვს. ლამაზად შეასრულა თავისი როლი ბ-ნმა კანდელაკმა. ქ-ნს კარგარეთელს ურიგოდ არ უთამაშნია, თუმცა მას კომიკური როლი უფრო ეხერხება დრამატიულზე და თუმცა თვისებური აქცენტი, სიტყვების არა ქართულ კილოზე გამოთქმა, აქაც შესამჩნევად უკარგავდა შნოს და გემოს მის თამაშს. კარგი იყო თვის პატარა როლში ქ-ნი გარელი. ახალ მსახიობ ქალს ქ-ნს წერეთელს არ დაეშურა ძალ-ღონე როლის კარგად შესრულებისათვის და, მართალი რომ ვთქვათ, კვლავინდებურზე უფრო მარჯვედ ეჭირა თავი.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, რომელშიაც, სამწუხაროდ, ბ-ნს აკ. წერეთელს, უქეიფობის გამო, მონაწილეობა არ მიუღია, რამაც საზოგადოებას დიდად დასწყვიტა გული. აკ
მაგივრად იმერული სცენები წ
კითხა მეტად მოხდენილად ბ
დ. მესხმა, რომელმაც გული
აცინა ხალხი შემდეგ დი
დაატკბეს დამსწრენი თავია
სამღერებით რუსული კომი
ოპერის არტისტებმა: რაისო
და ლელინისამ და ბ. ვილინ
რომლებიც საზოგადოებამ ა
ცებული ტაშის კვრით დააჯი
დოვა. განსაკუთრებით სასიამ
ნო შთაბეჭდილება მოახდინა ქ
რაისოვისამ, რომლის საუცხ
სიმღერების მოხიბლულ საზ
დოებას აღარ სურდა მოშორ
და ზედი-ზედ იწვევდა სახელ-გა
მულ მომღერალ ქალს. ბ-ნმა
ლინსკიმ, სხვათა შორის, მშვ
რად შეასრულა ნოტზე ქართ
ნანა.

საზოგადოება სრული ნასიამ
ნები დაიშალა ღამის 1-ლ საა

## სასამართლოს მატიანე

უგანათლებულესი თავ. ნ. დ. მ
რელსკის საქმე.

სამეგრელოს უგანათლებუ
თავ. ნიკოლოოზ დავითის ძ
მოუცხადა დავა კავკასიის რ
გზას. ეს დავა მდგომარეობს
დეგში: ხსენებულ თავადს აქვ
დი უდავ-დარაბო მამული,
მით 10,000 დღიურზე მეტ
მამული მდებარეობს ფოთსა
ჰალადიდს შუა. ამ მამულზე
ტარეს რკინის გზის ლიანდ
მინამ ამ გზას გაიყვანდნენ,
მული იძლეოდა დიდ შემოსა
ტყიდან და სახნავ მიწებიდან
მამულის ტყეში იჰრებოდა
სალო ხეები, რომლითაც სა
ლობდა მთელი იმერეთი და
კასია. რაც კი რკინის გზა
ვანეს ეს მამული სულ დაჰა
რადგანაც ამ გზამ წყალი შე
ადგილების ამაღლების გამო
გუბებული წყალი მიწამ ვ
შეიშრო, და გზაც ველარსაი
ღარ მიეცა, რადგანაც რ
გზამ მიწაში მილები არ მის
დაც წყალს ედინა. ამ ნოტ
გან და ჰაობისაგან ტყე სულ
პა და თითქმის მთლად მო
რის შემდეგაც რაც იქ გლ
ცობა იდგა—საცხოვრებლა
ადგილს თავი გაანება და იქ
გადასახლდა, რის გამოც სამ
რელოს თავადმა დიდი ზ
ნახა და ის მამული უმო
გახდა. გასავლელი რკინის
დამლა ამაღლებულია, რომ
წყალი აწვება, გუბდება და ვ
საით გზას ველარ პოულობს
გამოც წარმოსდგა ამოდენა
ლის და ტყის გაფუჭება. თა
კოლოოზი სთხოვს ქუთაისის
ქის სასამართლოს: 1) ადგ

...მამულის გაშინჯვა მოახდი- ... ადგილობრივვე გამოიძიონ ... მამულის დაჭაობებისა, აგ- ... სასამართლომვე მოახდი- ...გამოძიება, რომ რკინის გზის ...ველობამ მიიღოს ყოველნაი- ...შუალება, რომ ის მამული ... და ისევ ძველ დონეზე ... უნდა გამოიძიონ რა ზა- ...მიეცა მემამულეს მამულის ...ებით; 2) დაავალონ გზის ...ელობას გაუკეთონ მიწაში ..., რომლებშიაც წყალს გზა- ... მდ. რიონისაკენ; გარდა ...ისა უნდა გაიმართოს ყოველი ...კედლები, თხრილები და სხ. ...გამოიკვლიონ ექსპერტების ...ობით, რამდენ ხანში უნდა ...ოს გზის მმართველობამ ჩა-...ლილი საჭიროებანი, და თუ ...ის გზა დროზედ ვერ გამარ-... ნება მიეცეს მემამულეს ეს ...ები თავის ხარჯზედ გააკე-... შემდეგში რკინის გზას ...ევინოს, 4) სამეგრელოს ...ელეს მიეცეს ნება მთელი ზა-..., რომელიც მას მამულის ...ებით მიეცა, გადაახდევი-... რკინის გზას სასამართლოს ...ო. 5) რკინის გზის მმართვე-... გარდახდეს საქმის საწარ-...ლი ხარჯები მემამულეს სა-...ლოთ.

...ქის სასამართლოში რკინის ...მხრივ გამოცხადდა ნაფიცი ... დანილოვი, რომელიც ...ცებდა, რომ მამულს არავი-... ზარალი არ უნახავს, და თუ ...ც უნახავს, მასში რკინის-გზის ...დაგის გაყვანა მიზეზი არ არის; ... შემდეგ სასამართლომ მოის-... ორივე მხარეები და სიტყვა ...ემბელისა, რის გამ. ც გარ-...ვიტა: ეკითხოს ამის თაო-... მოწმებს და აგრეთვე და-...ლ იყოს ექსპერტიზა გეო-...ბისა და ტყის უფროსების ...ლეობით.

ერგნელი

(შემდეგი იქნება)

## ...მკურნალო ცნობა

...ნაგი და მისი წამლობა*). უმ-... ყურადღება უნდა იყოს მიქ-... სამკურნალო შრატზედ, რადგან ...მა მეტად სამარგებლოა და გა-...ლებამაც დაგვარწმუნა, რომ თუ ... სისტემატიკურად თვალ-ყურს ... შრთმა უფასდება. რასაკვირ-... არც ერთი წამალი თავის მო-... ვერ იჩენს ადამიანის სხეულ-... სისუფთავე და სმა-ჭამის ზო-...მეულნი არ იქმნებიან. როდესაც ... ხუნაგი სჭირს, მაშინ მთელი ...ორგანოება მოშვებული აქვს და ...წილებიდგან დორწის უშვებს

რის გამო მთელი პირი უეროლდება და პირის ღაბას უშვებს. ამ შემთხვევაში თუ ავადმყოფის პატრონი ფხიზლად არ არის და ბავშვს პირს არ უსუფთავებს და არ ურეცხავს, მაშინ ავადმყოფს მთელი პირის ანთება მოსდის, უსივდება ყელი, პირი, სასუნთქი და დაპარკიც ადარ მეუძლიან, რადგანაც ყველა სახსრები შეხუთვილი აქვს. ამისათვის საჭიროა ავადმყოფს პირში გამოავლოთ ბერქალეტის მარილი, რომელიც სრულიად უსუფთავებს მინაგან პირის კანს. ხშირად ყელის ანთება იქამდის მიდის რომ უპერაციოთ არა თავდება. აპერაციისა არც ავადმყოფს და არც პატრონებს არ უნდა შეეშინდეთ, რადგან ყელსა და სასუნთქში ამოსული მეწყებები რამოდენიმე ხნის შემდეგ მწიფდებიან და თუ ნეშტარი არ დაეკრა მათ და ერთბაშად არ გამოირწყო შიგ დაგუბებული ჩირქი, დღე გამოშვებით აწუხებს ავადმყოფს და თითქმის იმ ზომამდის მიდის საქმე, რომ მთელი ნაწილ-ნაწილად გამონაწური ჩირქი ავადმყოფმა უნდა ყლაპოს. აპირაციით კი ერთბაშად რაც ზადებია იწყევს და სამუდამოდ თავისუფლდება ავადმყოფი.

როდესაც ხუნაგის ზედ გავლენით ადამიანს ფილტვების ანთება ემართება, მაშინ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს მისცეთ ავადმყოფს ან თბილი ვანები და ან ტანზედ თბილი ტილოები აფინოთ, რადგანაც ხუნაგით ავადმყოფობა დიდხანს სტანავს და ადამიანს მთელს სხეულს ასუსტებს და ძალ-ღონეს ულევს, ამიტომაც პატრონებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ საუკეთო საჭმელ-სასმელი მისცენ. ხუნაგით ავადმყოფებს მეტი ნაწილი გულის ფრალი და სისუსტე მოსდით, ამ შემთხვევაში კარგია ავადმყოფს მაგარი ღვინო და ან კანიაკი ასვათ; როდესაც წყალი მოიკითხოს, წყლის სამაგიეროდ უკეთესი იქნება ზელტერის წყალი აძლიოთ, რადგანაც ავადმყოფს ხუნაგის დროს მთელი კუჭის მოქმედება მოშლილი აქვს და ჩვეულებრივი წყლის მონელება მეტად უძნელდება.

ხუნაგით ავადმყოფზედ განსაკუთრებითი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, რომ მას უბრალოდ არც შესცივდეს საწოლ ოთახში და არც ძალიან დასცხეს. საწოლ ოთახში ჰაერი აუცილებლივ სუფთა უნდა იყოს, ბნელი საწოლი ავადმყოფისათვის მეტად მავნებელია. ხუნაგის ავადმყოფის სასმელ-საჭმელი უნდა იყოს ნოყიერი და სუსუქი, მაგალითად კვერცხი, სხვილი საქონლის ხორცის წვენი და ხორცი ფრინველეულობისა. ხუნაგით ავადმყოფს ადამიანს სტომაქში მისაღები წამლები არცარას შველიან და არც საჭიროა.

ივ. კავთელი.

## გამოსადეგი ცნობა

ზღვისგან ავადმყოფობა ხშირად როდესაც ადამიანი ზღვით ან მდინარეთი მოგზაურობს, საშინელი თაბრუსხვევა, თავის ტკივილი და პირ-საქმობა ემართება. ბევრს რკინის გზით და დ. ეტლების მოგზაურობის დროსაც ემართებათ ეს. ამ შემთხვევაში შემდეგი ზომები უნდა მიიღოთ: ვიდრე გემში ჩაჯდებით, რამოდენიმე საათის წინეთ; ბლომად უნდა სჭამოთ პური. მხოლოდ არავითარი მაგარი სასმელი არ უნდა მიიკაროთ. სამი ოთხი დღის წინედ ვიდრე ზღვით გაემგზავრებოდეთ, დილითა და სადამოთი უნდა მიირთვათ ათ-ათი გრანი „ბრომისტის ამონია“ (ბრომსიტი ერთგვარი ვერცხლის, რომელსაც მექსიკაში პოულობენ). თუ მოგზაურობის დროს ადამიანს თავის ტკივილი და პირსაქმობა მოემატა, მაშინ კაპლის დალევსაც უნდა მოემატოს. ვინც ამ გვარი სენით შეპყრობილია მგზავრობაში მაგარი სასმელი არ დალევს.

## ყურმოკრული საუბარი

ორი გლეხი დაკარგულ ხარს ეძებდა, ერთი მათგანი ნახევარ ვერსის სიშორიდან უყვირის მეორეს:

— ტეტია, ვერ ნახე ხარი?

— ნწუ, ნწუო,—უპასუხებს მეორე, თითქო გვერდით ჰყავდეს ამხანაგი.

## სხვა-და-სხვა ამბავი

სიდედრი ავსტრალიაში. ავსტრალიაში, ახალ ბრიტანიის კუნძულზე, დიდ ცოდვად და დანაშაულად მიაჩნიათ საკუთარ სიდედრთან ლაპარაკი ან მისი ნახვა; ამიტომ ყველა მამაკაცები ამ კუნძულზე, ვისაც ცოლი ჰყავს, გაურბიან თავიანთ სიდედრებს და არასოდეს მათთან არ ლაპარაკობენ, მარა თუ შემთხვევით შეხვდენ ქუჩაზე, მაშინვე ხელს მიიფარებენ თვალებზე, რომ არ დაინახონ.

— 5—წლის გოგოების გათხოვება. ინდოეთში ჩვეულებად აქვთ ძალიან ადრე გაათხოვონ გოგოები,— მაგალითად, უკანასკნელი აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ 6,016,756 ქმრიანი ქალი 5—9 წლისა იყო; მათ შორის 17,000 ქვრივი ყოფილა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 თებერვალი

**პარიზი.** სოციალისტებისა და რადიკალების გაზეთები აცხადებენ, რომ ლუბეს ეპისტოლესი ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართო.

**მადრიდი.** სენატში ალმენასმა ხელ-ახლა განაგრძო გენერლების გაკიცხვა, რამაც ყვირილი და ხმაურობა გამოიწვია. კამპოსმა წინააღმდეგობა განაცხადა. საგასტა მთავრობის პოლიტიკას იცავდა და სთქვა, რომ ციდად ვწუხვარ ალმენასის მოქმედების გამო... დასრულდა.

**ვაშინგტონი.** ოტისი დეპეშით იუწყება, რომ მანილიაში სრული მშვიდობიანობაა. მეამბოხეთა მცირე რაზმი, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთით იყო გამაგრებული, გუშინ განდევნილ იქმნა. რაზმი შესამჩნევად დაზარალდა.

**პარიზი.** დღეს ლუბე მიიღებს უცხო-სახელმწიფოთა მისსიებს, რომელნიც პარიზში მოვიდნენ ფორის გვამის დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

დღეს მთავრობამ ხელთ ჩაიგდო 10,000 მედალი, რომლებზედაც ჰერცოგ ორლეანელია გამოსახული.

სასტიკი ზომები იქმნა მიღებული, რათა ხვალ, დასაფლავების დროს, მანიფესტაციები არ მოხდეს.

11 თებერვალი

**ლონდონი** იუწყებიან, რომ სამეფო ხომალდს „ოსბორნ“-ს ებრძანა პორტსმუტიდგან გენუაში წასვლა. იქ ხომალდში ჩაჯდება უელსის პრინცესა ქალიშვილით და კუნძულ კრიტზედ წავა, სადაც ბატონიშვილს გეორგს ინახულებს, შემდეგ ათინაში წავა საბერძნეთის მეფის სანახავადაო.

**პარიზი.** პეტერბურგის ჟურნალ გაზეთობის დელეგატებმა – პავლოვსკიმ, ხუდეკომა, პავლენიმა, სემენოვმა, დიმიტრიევმა და რაპოპორტმა ფორის კუბოს გვირგვინი დაადვეს. გვირგვინის შავს არშიას ოქროს ასოებით აწერია: „ფელიქს ფორს—პეტერბურგის რუსული ჟურნალ გაზეთობა“,

**პარიზი.** უცხო-სახელმწიფოთა მისსიები, ფორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად მოსულნი, დღეს, ნაშუადღევის შემდეგ იყვნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში, სადაც წარსდგნენ დელკასეს წინაშე. რამდენისამე წამის შემდეგ მისსიების წარმომადგენელნი დარბაზში შეიყვანეს, სადაც ლუბე იყო. დელკასემ წარუდგინა პრეზიდენტს ყველანი. პრეზიდენტი თვითეულს რამდენსამე წუთს ესაუბრა. განსაკუთრებით გულით ესაუბრა რუსეთის, გერმანიის და იტალიის მისსიების წარმომადგენელთ და ღესპანებს.

**მადრიდი.** ლინარესმა სეკუნდანტები გაუგზავნა ალმენას, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გენერლებსა ჰკიცხავდა.

**მადრიდი.** სენატის კომისია, რომელმაც ფილიპინების დათმობის საქმე უნდა განიხილოს, შესდგება 7 წევრისაგან, ამათში 4—სამინისტროს სამხრეთ, 3—ოპოზიციისა.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ „პატრიოტთა ლი-

*) «ცნ. ფურც.» № 788.

გამ“ მოითხოვა, ადგილი მოგვე-ცით დამარხვის პროცესიაშიო, მაგრამ საბჭოს პრეზიდენტმა შე-საძლებლად არ სცნო დაკმაყო-ფილება იმ კაცების თხოვნისა, რომელნიც კონსტიტუციის წი-ნაალმდეგ მოქმედებენ და რომელ-თა მეთაურმა და რამდენსამე უმ-თავრესმა წევრმა შეურაცხმყოფე-ლის სიტყვებით მიჰმართეს რეს-პუბლიკის პრეზიდენტსაო.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „ᲙᲕᲐᲚᲘ“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე. იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წ.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან.; ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მ. სამი თვით გაუგზავნელად 2 მ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწი-ლადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვალის“ რედაქციაში— არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «Квали». (10—8)



# „НИВА“

Подписчики „НИВЫ“ получаютъ въ 1899 г.:

**52 №№** журнала „НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

**12 ТОМОВЪ** ПОЛНАГО СОБРАН СОЧИНЕНІЙ И. А. ГОНЧАРОВА, которое явится первымъ по полнотѣ содержанія (такъ какъ въ него войдутъ разсказы, не помѣшен. въ прежн. изданіяхъ, стоящихъ **13 руб. 50 коп.**) и будетъ отпечатано на хорошей бѣлой глазированной бумагѣ.

**Подписная цѣна „НИВЫ“:**

на годъ со всѣми приложеніями:

| | | |
|---|---|---|
| Безъ доставки въ СПБ. | **5 р. 50 к.** | Съ перес. во всѣ города и мѣстности Россіи . **7 р.** |
| Съ доставк. въ СПБ. | **6 р. 50 к.** | За границу 10 р. |
| Безъ доставки: 1) въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской—6 р. 25 к., 2) въ Одессѣ, въ книжн. магаз. „Образованіе“—6 р. 50 к. | | Разсрочка платежа въ 2 и 3 срока. |

Даетъ въ теченіе

**однаго 1899 года**

своимъ подписчикамъ

## БЕЗПЛАТНО

полное собраніе сочиненій

# Гончарова

**Содержаніе: томъ I.** Портретъ и факсимилэ И. А. Гончарова.—Біографическій очеркъ С. А Венгерова.—Лучше поздно, чѣмъ никогда. Критич. замѣтки.—Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ частяхъ. Ч. I. **Томъ II.** Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ ч. Ч. II. **Томъ III.** Обломовъ. Ром въ 4-хъ ч. Ч. I и II. **Томъ IV.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч. Ч. Ш и IV. **Томъ V.** Фрегатъ Паллада. Очерки путешествія, въ 2-хѣ ч. Ч. I. Главы I—V. **Томъ VI.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. I. Гл. VI—VIII. Ч II. Главы I—IV. **Томъ VII.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. II. Гл. V—IX. **Томъ VIII.** Обрывъ. Ром. въ 5-ти ч. Ч. I. и II **Томъ IX.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. Ш. **Томъ X.** Обрывъ. Ром. въ 5 ч. Ч. IV и V. **Томъ XI.** Три очерка: I. Литературный вечеръ. П. Мильонъ терзаній. Ш. Замѣтки о личности Бѣлинскаго.—Иванъ Савичъ Поджабринъ. Очеркъ. **Томъ XII.** Воспоминанія: I. Въ университетѣ. II. На родинѣ.—Слуги стараго вѣка. I. Валентинъ. П. Антонъ. III. Степанъ съ семьей. IV. Матвѣй.—Очерки: Превратность судьбы. Май мѣсяцъ въ Петербургѣ.

**12 КНИГЪ** «**Ежемѣсячныхъ литерат. приложеній**» (романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя статьи и пр. современ. авторовъ).

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ» [до 300 модныхъ гравюръ по послѣднимъ фасонамъ лучшихъ мастеровъ).

**12 №№** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ въ натуральную величину (около 600 рисунк. и чертеж ). СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ на 1899 г., печатан. красками.

**Иллюстрированное объявленіе высылается безплатно.**

Требованія адресовать въ Главную Контору журнала „НИВА“, С.-Петербургъ, Малая Морская, 22. (12—5)



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

— წლიწადი მეათე —

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლ-მო სწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხა-

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფი-ლისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში 50 კ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში— „წერა-კითხვის გამავრც. საზო-გადოების“ კანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტი-ლერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣт-скаго жуннала «**Джеджили**». (10—



Принимается подписка

на **полное иллюстрированное и комментированное собраніе сочине**

# ШИЛЛЕРА

съ иллюстраціями Каульбаха, Лиценъ-Майера и др. и коммен-таріями по Дюнцеру, Шерру, Карьеру, Фигофу и др.. Изд выходитъ выпусками: всѣхъ выпусковъ будетъ 30, что со-ставитъ около 2000 страницъ. Первый выпускъ выйдетъ къ октября 1898 г., второй черезъ мѣсяцъ послѣ перваго; на-чиная съ третьяго, выпуски будутъ выходить черезъ двѣ не

**Цѣна безъ доставки 8 руб., съ доставкою и пересылкой 10 р**

*Допускается разсрочка:* при подпискѣ вносится 2 руб. (съ пересылкою послѣ выхода 2-го выпуска 1 руб и затѣмъ ежемѣсячно по 1 рублю

Подписка принимается у книгопродовца Голованова. **Москва, Боль-шая Никитская, домъ .кнШаховской-Глѣбовой-Стрѣшневой.**

ТАМЪ ЖПРОДАЕТСЯ КНИГА

**Данте.** АДЪ. Цер. Н. Голованова, съ 24 рисунками Густава До-ре и 587 примѣчаніями. Текстъ перевода просмотрѣнъ пр Буслаевымъ. Допущенъ У. К. М. Н. Пр. въ безплатныя чит ни. Цѣна **2** руб.



ГОДЪ III — ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.

**НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАНННЫЙ ЖУРНАЛЪ**

# ТЕАТРЪ и ИСКУССТВО

Въ журналѣ помѣшаются статьи по общественнымъ вопросамъ и теоріи искусствъ и литературы, фельетоны, критическіе этюды, беллетристика ширныя корреспонденціи

ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**52 №№ журнала** около 1000 стр., что составитъ за годъ изяшный томъ на хорошей бумагѣ свыше ШЕСТИСОТЪ ПОРТРЕТОВЪ и иллюстрацій въ текстѣ **52** журн

**20** репертуарныхъ пьесъ, въ отдѣльной продажѣ стоющихъ около 30 р.

ОТДѢЛЬНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ, НОТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ и отдѣльные выпуски, по мѣрѣ накопленія матеріала,

**„СЛОВАРЯ СОВРЕМЕННЫХЪ ДѢЯТЕЛЕЙ СЦЕН**

**куда войдутъ портреты, біографіи, характеристики артистовъ, пѣ музыкантовъ, драматическихъ писателей, композиторовъ, театраль критиковъ и т. п.**

**Въ 1897-8 гг.** печатались произведенія: Авсѣенко В. Г. Алекс ва Н. А. Амфитеатрова А. В , Арбенина Н. Ф ступова Э. Д., Бентовина В. И., Блейхмана Ю. И., Вейнберга П. И , дича П. П., Далматова В. П., Дѣянова А. И., Карнѣева И. В., Карп П., Кнорозовскаго И. М., Коринфскаго А. А.. Кояловича М. М., Кр ко Н. И., Кугеля А. Р., Ленскаго Ал. П., Немировича Данченко Ва Немировича-Данченко Вл. Ив Плещеева А. А., Потапенко И. Н., Пр женскаго В. П., проф. Сакетти Л А , кн. Сумбатова А И., Тихонова Федорова Н. Ф., Фруга С. Г Южнаго М. Г., Ясинскаго I. I. и др

**Въ отдѣльныхъ приложеніяхъ были даны слѣд. пьесы,** имѣвшія ш успѣхъ: «Трильби», «Катастрофа», «Наканунѣ», «Влюбленная», „Вѣра ева», «Трудовой день»» «Облачко», «Волшебная сказка», «Джентльмен лотая Эва», «Спиритизмъ», «Лизистрата», «Юность», «Сирано-де-Берже «Баба», «Стариничка романа», и т. д

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

За годъ со всѣми приложен. **6 РУБ.** за полгода со всѣми приложен. **4 РУБ.**

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р. и по 2 р: 1-го Марта и 1-го

Адресъ Редакціи и конторы С.-Петербургъ, Моховая, 45,

Редакторъ А. Р. Кугель. Издательница З. В Тимофѣева, (Хол

(8—


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Февраля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბენისა), რედაქტორ-გამომცემელი ვ. 8